

ხს. ჯ. ლოლუაში

— კიდეც გიმეორავ, ქალაქიდან მწვანეილს, კარტოფილს, კიტხს, ვამიძორს, ხილს, ლობიოს, გოჭს, ქათამს რომ წამოიღავ, თონის პური, მჭადის ფაქვილი, კვარცხნი, რძე, ტყეფლისა და ვამიძორის საწებლაც არ დაგავიწყდეს, დანარჩენს, პოლოს და პოლოს, ბე, ჩვენთან სოფალშიაც ვიპოვით!

# სუსუნუნ

13  
1982

„...ჯერ კიდევ ვხვდებით ფაქტებს, როცა ზოგიერთს, გარკვეული აზრით, პირიქედან გამომდინარე ახასიათებს: სამუშაოზე, თავის კოლექტივში, საზოგადოებაში სხვა ადამიანია, შინ კი სულ სხვა. კრებაზე ერთს ამბობს, მეგობრებთან, სუფრასთან — სრულიად სანინალმდეგოს“.

გაზათეპიდას



ნ. ზ. ზარაფიერიძის

შენ ვინ გინოდა ვაჟაკი?! —  
ხარ როცა ყოვლად უძღური! —  
გარეთ იძახი ვაშასა!  
შინ სამშობლოზე წუნუნებ!

მუსრან მაჭავარიანი

### საგანმანათლებლო ლექსიკონი

**აბიტურიენტი** — ორგანო: მოყვარული და პროფესიონალი.

**რეპეტერეპეტიტორი** — რეპეტიტორი, რომელიც მეორეჯერ ამზადებს ჩაჭრილ აბიტურიენტს.

**წიგნი** — ცოდნის წყარო, მაგრამ ცოდნა მისგან წყაროს წყალივით თავისით არ გადმოედინება.

**ბიოქიმიური ოჯახი** — ქმარი — ბიოლოგი, ცოლი — ქიმიკოსი, შვილი — ბიოქიმიკოსი.

**საგამოცდო ბილეთი** — აბიტურიენტის აზრით, ორნაირია: ილბლიანი და უილბლო.

**ორგანული ქიმიკოსი** — ზოგიერთი რომ ორგანულად ვერ იტანს.

**სამედიცინო ბუდე** — დედა — ბინეკოლოგი, მამა — დერმატოლოგი, შვილი — მედიკოსი, რძალი — ფთიზიატრი, შვილიშვილი — მომავალი ფსიქიატრი.

**აბიტურიენტის მშობლები** — ფრონტის ზურგი.

**შპარგალკები** — ინდივიდუალური, მინიატიურული, არალეგალური პორტატული მოძრავი ბიბლიოთეკა.

**გამომცდელი მანქანა** — ცოდნის შემოწმებელი, რომელსაც აბიტურიენტის ცრემლებისა არ სჯერა.

გიგლა ხახტაძე

## ახალი რეკორდი! ეროვნული გიგანობა

ბასულ შაბათს ფულტონა ხელგაშლილადის ოჯახმა ქორნილების ისტორიაში ახალი რეკორდი დაამყარა: დაპატივითათას ხუთასი კაცი! აქედან საპატიო მიზეზების გამო, ვერ მოვიდა ასი (ფული გამოგზავნეს!), დანარჩენები დროულად და ერთსულოვნად გამოცხადდნენ! სუთასმა კაცმა ლეინოში ჩაიხრჩო თავი!.. ასმა, იქვე, სუფრასთან გამოიძინა!.. თხუთმეტი ოდნავ მოშორებით, ლობის ძირში, მიწვა!.. თვრამეტმა ერთმანეთს მკედარი და ცოცხალი აგინა და ცხვირ-პირი დაულენა!.. ას ოცდათხუთმეტი სახლებში წაასვენეს ცოლებმა!.. ას ოცდახუთი ერთმანეთს უბრაზუნებდა თავებს!.. დანარჩენები ისე ღრიალებდნენ!..

სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწია, აგრეთვე, დამტკრული ჭურჭლის, დაკლული გოჭების, ქათმების, ინდაურების, მოზრების, სუფრასთან „სამამულო სმამი“ ვაჟკაცურად დაცემულ-ნაქცულთა სადღეგრძელოებისა და „მისატანის“ სახით შემოსული თანხის რაოდენობამ!..

ოცდახუთი თამადიდან ხუთი ბოლომდე იდგა ფეხზე!..

ვანო ცინცაძე

## მინიატიურა

ექიმი: რას უჩივით?

პაციენტი: მე, ბატონო, არაფერს, მაგრამ გამყიდველს ხურდა ვთხოვე და — შენ სიცხე ხომ არ გაქვსო?! წონაში აკლია-მეთქი და — შენ ტვინი გაკლიაო! სანტექნიკოსს გაცილებისას გაღიმებულმა მადლობა გადავუხადე და — ბავშვობაში თავი ხომ არაფერზე მიგირტყამსო?! ღირეკტორი გავაკრიტიკე და — ექიმს ეჩვენე აუცილებლადო! მეც ავდექი და, გეჩვენეთ!

ნიკოლოზ იოსებიაძე



ნ. ზ. დვისაძის

— შენც შენი ხალით იზადავ საკვებს?  
— აბა, რა ვქნა?! ჩემი პატრონებაც მისადავ გამოცდავა წაჰყვანენ თავიანთ შვილებს თბილისში!

**საქართველო  
კაჩიუები**

სასურველია, ვარჯიში შეასრულოთ 9-დან 10 საათამდე!

ამოისუნთქეთ! ხელი ჩაავლეთ კაბინეტის კარის სახელურს! ჩაისუნთქეთ ღრმად, ისე, რომ მუცელი გაგვესოთ ჰაერით! ამ მდგომარეობაში გაჩერდით რამდენიმე წუთს! მერე ნელ-ნელა ამოისუნთქეთ და თავდახრილი შეაღეთ კაბინეტის კარი! როგორც კი შეხვალთ კაბინეტში, რაც შეიძლება დაბლა დახარეთ თავი! ნიკაპი მიაწვდინეთ ჭიპს! კარგია, კარგია! თვალები დაარჭვეთ იატაკზე! ღრმად, რაც შეიძლება ღრმად, ჩაისუნთქეთ, ამოისუნთქვისას თვალები გაუსწორეთ დირექტორს! იყავით ასე სულშეხუთული!.. თუ ეს ვარჯიში არ გამოგივიდათ, მაშინ გადადით შემდეგ ვარჯიშზე: მოიხარეთ ნელში! ჩაისუნთქეთ! ეცადეთ, თავი (თუკი გაბიათ) მიაწვდინოთ ფეხსაცმელების ჭვინტებს! ასეთ მდგომარეობაში იყავით მანამდე, სანამ არ გაიგონებთ გამამხნეველ შეძახილს: „და! და! და!“ მერე ოდნავ გასწორდით ნელში და გადადით სახის კუნთების ვარჯიშზე!

გაიღიმეთ! გაიღიმეთ! როცა თქვენს საკუთარ ყურებს დაინახავთ, ეცადეთ, თქვენი კბილებიც დაინახოთ! თუკი ოქროს კბილები გაქვთ, სასურველია, დამალეთ: ოქრო აღიზიანებს უფროსებს!


ვარჯიში გრძელდება მანამდე, სანამ დირექტორი შუბლზე ხელს არ იკრავს!

ამის შემდეგ თქვენ გადაიხაროთ წყლის პროცედურებზე:

მოიხარეთ ნელში! მარცხენა ხელი წაიღეთ ჭიქისაკენ! სუნთქვა შეიკავეთ! მარჯვენა ხელი „ბორჯომის“ ბოთლისაკენ გააპარეთ! საქორწილო ბეჭდით ააძვრეთ საცობი და ღრმად ამოისუნთქეთ! ჭიქაში „ბორჯომის“ წყალი მანამდე ასხით, სანამ დირექტორი არ ამოიხრებს: „კმარა!“

როცა დირექტორის ყელში წყლის რაკრაკს გაიგონებთ, დადევით ფეხის წვერებზე და ისე გამოდით კაბინეტიდან!


გაახალსურა ავთანდილ ადუნიშვილმა



ს.ბ. ჯ. ლოლუბანი

ქართული  
კაბინეტი

— ჩემი შვილის მომზადების თუ გაზინიანთ, პატივცემულო რავეტიტორო, მე მომამზადეთ და მერა მე თვითონ მოვამზადებ მას!



ნ.ბ. ი. ხინაშვილისა

უსიტყვოდ



# ЭТО ЖЕ ХЛЕБ!



## სასურველი სასტანდარტი

**პურის ხარისხი!** — ბევრი წერილი მოდის „ნიანგის“ რედაქციაში ამ საჭირობოროტო და, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მოუგვარებელ საკითხზე! პურის მაღაზიებშიც ხშირად გაუგონია ნიანგს საყვედურები ცუდად გამომცხვარი, უხარისხო პურის გამო! ისიც უნახავს, უკეთესის ძებნაში როგორ სინჯავს ზოგიერთი თითებით თაროებზე დალაგებულ პურებს!.. მაღაზიების მუშაკები პურის ცუდ ხარისხს ქარხნებს აბრალებენ! ქარხნები... ერთი სიტყვით, არის ერთი გადაბრალე-გადმობრალეობა, მომხმარებელს კი ეს დავა სულაც არ აინტერესებს — მას კარგად გამომცხვარი, საამოდ სურნელოვანი პური უნდა დილითაც, შუადღეზეც და საღამოსაც!..

და, აი, „ნიანგმა“ თავისი უფროსი ძმის — „პროკოდილის“ — ფურცლებზე ი. ბორინისა და ბრ. პროშინის ფელეტონი — „სასურველი სასტანდარტი“ წაიკითხა. თურმე...

თუმცა, სჯობს, ერთად წავიკითხოთ იგი, მცირეოდენი შემოკლებით!

**ის ამბავი ასე მოხდა:** თანაავტორები, რომლებიც ცალ-ცალკე გაგზავნეს არხანგელსკისა და ციმბირის პატარა ქალაქ ტულუნში, წინასწარ შეთანხმებულად შევიდნენ საფუნთუშეებში.

ორივე საფუნთუშეში პური ცუდად გამომცხვარი აღმოჩნდა! ამავე პერიოდში ხარისხის ადგილობრივმა სავაჭრო ინსპექტორებმა ტულუნის პურის ქარხანას დაუწუნეს მთელი გამომცხვარი პურის ერთი მეათედი, ხოლო არხანგელსკის კომბინატს — ერთი მეხუთედიც კი!

იბადება კითხვა: რა არის ცუდი ხარისხის მიზეზი?

— ჯერ ერთი, ცხობის ტექნოლოგიის დარღვევა, — თქვეს არხანგელსკში, — მეორეც, პურის მანქანების ცუდი მუშაობა. მესამე, რაც მთავარია, — ფქვილის ხარისხი!

ტულუნელებმა კი თქვეს: — წუნის ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, ცხობის ტექნოლოგიის დარღვევაა, მანქანებიც უვარგისია. და კიდევ — ფქვილი!..

მივედით ვაჭრობის სამინისტროში, პურპროდუქტების ხარისხის ყველაზე მთავარ ინსპექტორებთან.

— ხშირია თქვენთან ასეთი შემთხვევა? — ვკითხეთ განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს — ა. მ. ლავრიშევას.

— პურის დაწუნებისა? დიახ, სამწუხაროდ, ხშირია ხოლმე, რადგან პრაქტიკულად ყველგან ერთი და იგივე ამბავია: ცხობის ტექნოლოგიის დარღვევა, ცუდად მომუშავე მანქანები და, აგრეთვე, პურის ცხობისათვის განკუთვნილი ხორბლის ფქვილიც! სწორედ ეს არის მიზეზი! მაგრამ, რაც შეეხება ფქვილის ხარისხს, ვერც ჩვენ, ვერც სავაჭრო ქსელი, ვერც თვით პურის მცხობლები ზუსტად ვერ გეტყვიან, როგორი უნდა იყოს იგი. ესე იგი, როგორი მოთხოვნები უნდა წაუყენოთ ფქვილს, რომ მისგან შეჭველად გამოცხვეს ფუმფულა, გამრიდელი და ფორმით უზადო პური.

მივმართეთ პურის ცხობის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიას, სადაც პურპროდუქტების ორი კომბინატიდან მიტანილი ერთი და იგივე ხარისხის ფქვილით ცალ-ცალკე ორი პური გამოაცხვეს.

ერთი კომბინატიდან მიტანილი ფქვილით გამომცხვარი პური მშვენივრად დაბრანული, მაღალი, კრიალა, მოოქროსფრო და მადისაღმძვრელქერქიანი გამოვიდა, ხოლო მეორე (მეორე კომბინატიდან მოტანილი ფქვილისა) — ფომფლო და უფორმო!..

— კი მაგრამ, შეიძლება, წინასწარ დადგინდეს ფქვილის ხარისხი? ესე იგი, ვარგა თუ არა იგი პურის გამოსაცხობად?

— ჩვენ, რა თქმა უნდა, კი ვიცით, როგორი ფქვილია საჭირო, მაგრამ იმ ფქვილის დაწუნება, რომელიც ვერ უპასუხებს პურის ცხობის მოთხოვნებს, დღესდღეობით არ შეგვიძლია: მასზე სახსტანდარტი არ არსებობს!.. გაიგეთ?

ვერ გავიგეთ!.. და მაშინ დაწვრილებით, როგორც პირველკლასელებს, დაგვიღებეს: როცა პურფუნთუშეულისათვის გათვალისწინებულ ფქვილს ჯერ კიდევ ნისქილში ამზადებენ, ფხიზლად ადევნებენ თვალს, რომ ამ ფქვილს ჰქონდეს სათანადო სინესტე, დაფქვის სიმსხო, სხვა „ხასიათის“ ნიშან-თვისებები!.. ყველაფერი ეს განსაზღვრული ყოფილა ჯერ კიდევ 1938 წელს, მაშინდელი დამზადების სახალხო კომისარიატის დროებითი ნორმების მიხედვით. და, აი, თუ ფქვილი უპასუხებს ამ მოთხოვნებს, პურის ინსპექცია მას მშვიდობიანად უშვებს პურის დასამზადებლად.

შემდეგ ამ მონონტული ფქვილისაგან ქარხანაში აცხობენ პურს, რომელსაც უკვე მეორე ინსპექცია — სავაჭრო — ინუნებს! რა მიზეზით? რა მიზეზით და, თურმე, სრულიად უბრალოდ: იმ ორმოცი წლისწინანდელ დროებით ნორმებში არ არის გათვალისწინებული ფქვილის პურსაცხობი თვისებები! ესე იგი, სრულიადაც არ არის იმის გარანტია, რომ იმ კარგად შეფასებული ფქვილიდან გამოვა საუკეთესო პური, და, რაკი ამ მოთხოვნებს არ უყენებენ ნისქილების მუშაკებს, მათ არც აღუღვებთ ეს პრობლემა! სასაცილოა, ხომ?

— სრულიადაც არა!

— ფქვილის დროებითი ნორმები, რომლებითაც ახლა ყველა სარგებლობს, — ნაღვლიანად დასკვნეს ლაბორატორიაში, — დიდი ხანია მოძველდა: ამ ორმოცზე მეტ წელწინადში პირობები ნისქილებშიც და პურის ქარხნებშიც საგრძნობლად შეიცვალა! — ასე გვითხრა სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტში პურის მრეწველობის კურატორმა.

— კი მაგრამ, ნუთუ, ასე ძნელია ათეული წლების განმავლობაში სახსტანდარტის გამოშვება და საკითხის საბოლოო გადაწყვეტა?

— ჩვენ თუნდაც ხვალვე დაეანებდით, მაგრამ ორი საკავშირო სამინისტრო — დამზადებისა და კვების მრეწველობისა — ვერასგზით ვერ შეთანხმებულან ერთმანეთს შორის. კვების მრეწველობის მუშაკები მოითხოვენ, რომ ამ სტანდარტში იყოს ფქვილის ძირითადი მონაცემები: პურის ცხობისათვის, დამამზადებლები კი უარზე არიან: ეშინიათ, ალბათ, რომ ვერ შეძლებენ მათს უზრუნველყოფას. ასე დავობენ ჯერ კიდევ იმისწინა წლებიდან!..

— რასაკვირველია, — დაგვეთანხმა კვების მრეწველობის საკავშირო სამინისტროს პურის სამმართველოს უფროსი ვ. ვ. კოჩერგინი, — ჩვენ, როგორც შემსყიდველებს, ყველაზე უფრო მეტად გვჭირდება ეს სტანდარტი, მაგრამ რა შეგვიძლია გავაკეთოთ, როდესაც სტანდარტის ძირითად შემამუშავებლებს დამზადების სამინისტროში არ უნდათ გაიგონ, რომ პურის ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია ამ მაჩვენებლებზე, ხოლო სახსტანდარტმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო მათზე ზემოქმედება!

დავრწმუნდით, რომ მთელი ამ ათეული წლების მანძილზე სამ სოლიდურ ინსტანციაში გულხელდაკრეფილი არ სხედან: სავაჭრო ქსელი პურის მცხობლებს არასტანდარტულ პურს უწუნებს, რისთვისაც ყველა საფუძველიც აქვს და — სრული უფლებაა! პურის მცხობლები ცდილობენ ფქვილის დაწუნებას, რისთვისაც ყველა საფუძველიც აქვთ, მაგრამ — არავითარი უფლება! მაშინ ისინი აპელაციით მიმართავენ თავიანთ ზემდგომ ინსტანციას — კვების მრეწველობის სამინისტროს, რისთვისაც ყველა საფუძველიც აქვთ და — სრული უფლებაა! სამინისტრო პერიოდულად აყენებს საკითხს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის წინაშე: დაადგება თუ არა საშველი სახსტანდარტების დაწესებას? კომიტეტი ასეთივე პერიოდულობით ამ შეკითხვას აძლევს დამზადების საკავშირო სამინისტროს, რომელიც ტაბატი ამუშავებს სტანდარტს, აქაოდ, პურის მცხობლები გვიშლიან ხელს თავიანთი მოთხოვნებით! მათ სხვა-ნაირად არ შეუძლიათ, რადგან სავაჭრო ქსელი არხანდაც დებს წუნს არასტანდარტულ „გოგორა პურებს“, რისთვისაც ყველა საფუძველიც აქვთ და — სრული უფლებაა!

და, აი, იმის გამო, რომ სტანდარტი არ არსებობს, ჩვენი ქვეყანა დღეს მზა პროდუქციის თითოეულ ტონაზე კარგავს ოც კილოგრამ პურს! ვასაგებია?

პირადად ჩვენთვის გაუგებარია!

— ჩვენ, როგორც შემსყიდველებს, ყველაზე უფრო მეტად გვჭირდება ეს სტანდარტი, მაგრამ რა შეგვიძლია გავაკეთოთ, როდესაც სტანდარტის ძირითად შემამუშავებლებს დამზადების სამინისტროში არ უნდათ გაიგონ, რომ პურის ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია ამ მაჩვენებლებზე, ხოლო სახსტანდარტმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო მათზე ზემოქმედება!

დავრწმუნდით, რომ მთელი ამ ათეული წლების მანძილზე სამ სოლიდურ ინსტანციაში გულხელდაკრეფილი არ სხედან: სავაჭრო ქსელი პურის მცხობლებს არასტანდარტულ პურს უწუნებს, რისთვისაც ყველა საფუძველიც აქვს და — სრული უფლებაა! პურის მცხობლები ცდილობენ ფქვილის დაწუნებას, რისთვისაც ყველა საფუძველიც აქვთ, მაგრამ — არავითარი უფლება! მაშინ ისინი აპელაციით მიმართავენ თავიანთ ზემდგომ ინსტანციას — კვების მრეწველობის სამინისტროს, რისთვისაც ყველა საფუძველიც აქვთ და — სრული უფლებაა! სამინისტრო პერიოდულად აყენებს საკითხს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის წინაშე: დაადგება თუ არა საშველი სახსტანდარტების დაწესებას? კომიტეტი ასეთივე პერიოდულობით ამ შეკითხვას აძლევს დამზადების საკავშირო სამინისტროს, რომელიც ტაბატი ამუშავებს სტანდარტს, აქაოდ, პურის მცხობლები გვიშლიან ხელს თავიანთი მოთხოვნებით! მათ სხვა-ნაირად არ შეუძლიათ, რადგან სავაჭრო ქსელი არხანდაც დებს წუნს არასტანდარტულ „გოგორა პურებს“, რისთვისაც ყველა საფუძველიც აქვთ და — სრული უფლებაა!

და, აი, იმის გამო, რომ სტანდარტი არ არსებობს, ჩვენი ქვეყანა დღეს მზა პროდუქციის თითოეულ ტონაზე კარგავს ოც კილოგრამ პურს! ვასაგებია?

პირადად ჩვენთვის გაუგებარია!


— ჩვენ, როგორც შემსყიდველებს, ყველაზე უფრო მეტად გვჭირდება ეს სტანდარტი, მაგრამ რა შეგვიძლია გავაკეთოთ, როდესაც სტანდარტის ძირითად შემამუშავებლებს დამზადების სამინისტროში არ უნდათ გაიგონ, რომ პურის ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია ამ მაჩვენებლებზე, ხოლო სახსტანდარტმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო მათზე ზემოქმედება!

დავრწმუნდით, რომ მთელი ამ ათეული წლების მანძილზე სამ სოლიდურ ინსტანციაში გულხელდაკრეფილი არ სხედან: სავაჭრო ქსელი პურის მცხობლებს არასტანდარტულ პურს უწუნებს, რისთვისაც ყველა საფუძველიც აქვს და — სრული უფლებაა! პურის მცხობლები ცდილობენ ფქვილის დაწუნებას, რისთვისაც ყველა საფუძველიც აქვთ, მაგრამ — არავითარი უფლება! მაშინ ისინი აპელაციით მიმართავენ თავიანთ ზემდგომ ინსტანციას — კვების მრეწველობის სამინისტროს, რისთვისაც ყველა საფუძველიც აქვთ და — სრული უფლებაა! სამინისტრო პერიოდულად აყენებს საკითხს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის წინაშე: დაადგება თუ არა საშველი სახსტანდარტების დაწესებას? კომიტეტი ასეთივე პერიოდულობით ამ შეკითხვას აძლევს დამზადების საკავშირო სამინისტროს, რომელიც ტაბატი ამუშავებს სტანდარტს, აქაოდ, პურის მცხობლები გვიშლიან ხელს თავიანთი მოთხოვნებით! მათ სხვა-ნაირად არ შეუძლიათ, რადგან სავაჭრო ქსელი არხანდაც დებს წუნს არასტანდარტულ „გოგორა პურებს“, რისთვისაც ყველა საფუძველიც აქვთ და — სრული უფლებაა!

და, აი, იმის გამო, რომ სტანდარტი არ არსებობს, ჩვენი ქვეყანა დღეს მზა პროდუქციის თითოეულ ტონაზე კარგავს ოც კილოგრამ პურს! ვასაგებია?

პირადად ჩვენთვის გაუგებარია!

— ჩვენ, როგორც შემსყიდველებს, ყველაზე უფრო მეტად გვჭირდება ეს სტანდარტი, მაგრამ რა შეგვიძლია გავაკეთოთ, როდესაც სტანდარტის ძირითად შემამუშავებლებს დამზადების სამინისტროში არ უნდათ გაიგონ, რომ პურის ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია ამ მაჩვენებლებზე, ხოლო სახსტანდარტმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო მათზე ზემოქმედება!



# ოკრატიკა - „მაცივარი“

— მაცივრები და ბელგიური ხალიჩები მოვიტანე! — მოსვლისთანავე ახარა გამგემ — მიხეილ ქვენიშვილმა — გამყიდველ ნიკოლოზ აივაზოვს, — აბა, ახლა შენიცი!

ეს ამბავი სოფელ დიღმის კოოპერატივის ზაქესის „უნივერსამში“ მოხდა...

— გასაღება ჩემზე იყო!  
— მაცივრის ფასი 430 მანეთია, ხალიჩისა — 900!

მოგეხსენებათ, ასეთ დეფიციტურ საქონელს კარგი პატრონობა უნდა და საგანგებოდაც გადამაღეს, რათა ზოგიერთ „არამკითხეს“ არ ენახა!..

— ამ მაცივრებს 430 მანეთად ნამდვილად ვერ გავიძებტებ! — ღიმილით უთხრა ნიკოლოზმა.

— ამას თავისი მუშტარი არ დაეღვევა! ვისაც მაცივარი უნდა, ფულზე ლაპარაკს არ დაგვიწყებ!

მუშტარი მართლაც გამოჩნდა. ლიღია ზოლოტუხინამ სწორედ იმ დროს გადაწყვიტა მაცივრის ყიდვა, როცა ზაფხულის პაპანაქება სიციხეები კარზე იყო მომდგარი.

— მაცივარი მინდა შევიძინო, ხომ ვერ მეტყვი, როდის გექნება?

— თუ ნამდვილად გინდათ, შემიძლია, ახლაც მოგართვათ!

აივაზოვმა გვერდით ოთახში საგანგებოდ გადამაღული მაცივარი აჩვენა.

— ამას ახლა მაცივარი არ შეედრება, ქალბატონო! „მინსკი-15“! 430 მანეთი ღირს, მაგრამ... ცოტა ზედმეტი უნდა!...

— ზედმეტი?!

— ჰო, ცოტა ზედმეტი!..

— მაინც რამდენია საჭირო?

— ბევრი არა, ასე, 150 მანეთი! ხომ იცით, ჩვენ იმათაც ვუხდით ცოტას, ასეთი საქონელი რომ შეგვახვედროს!

— თანახმა ვარ! რა ვქნა, მაცივარი ძალიან მჭირდება!

— ჰოდა, მოიტანთ ზეგ 580 მანეთს და მაცივარიც თქვენი იქნება!

ზოლოტუხინა რომ გააცილა, აივაზოვი საამო ფიქრებს მიეცა: „მიყვარს ასეთი ხალხი, ზოგიერთივით ვაჭრობას რომ არ დაგინყებს კაპიკებზე!.. ისე, ყველას ვერც ენდობი! ზოგი ტყუილუბრალოდ გაგაცდენს! ამ ქალს თავიდანვე შევატყვე, რომ ნამდვილი მყიდველი იყო! დანარჩენი მა-

ცივრებიც ასე რომ გავყიდო, 750 მანეთი დაგვრჩება!“

ღიას, ნამდვილად დარჩებოდათ, მაგრამ ბედი უნდა ყველაფერს! — ზოლოტუხინამ არ გაუმართლა. იმედი, მაშინვე შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს აცნობა ამ სარფიანი გარიგების შესახებ, დათქმულ დღეს კი, დაპირებისამებრ, გამოცხადდა გამომძაღველთან და 580 მანეთი მიუტანა. აივაზოვმა ფული დათვალა და, ათი მანეთი უკან დაუბრუნა!..

— შენ ისეთი კაი ადამიანი ჩანხარ, ცოტა უნდა დაგიკლო! აიღე ეს ათი მანეთი, მუშებისთვის დაგჭირდება მაცივრის წასაღებად! მე ესეც მეყოფა!..

ის-ის იყო, ზოლოტუხინამ ათმანეთიანი გამოართვა, რომ მყიდველ-გამყიდველს ეს „შენმატკბილებული“ საუბარი შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა შეაწყვეტინეს!..

შემდეგ „უნივერსამის“ გამგე-გამყიდველის — მიხეილ ქვენიშვილის გულკეთილობის ამბავიც გაიგეს. მისი მითითებით ნიკოლოზ აივაზოვმა, თურმე, ნისიად მისცა „უნივერსამის“ დარაჯს, ლაშქარავას, 900 მანეთად ღირებული ხალიჩა. თუმცა, აბა, რა ექნა? — ადამიანს ფული არ ჰქონდა და, აცალა ცოტა ხანს, თანაც გამგეს რომ არ ჩამორჩენოდა, თვითონაც აიღო და, სამი ხალიჩა მიყიდა ნისიად სარივეს, ლარიბოვსა და მაგდალინოვს!

ასეთი ხელგაშლილობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, რამაზ ხმალაძის თავმჯდომარეობით, ნიკოლოზ აივაზოვს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ქონების კონფისკაციით!

რაც შეეხება მიხეილ ქვენიშვილს, სასამართლომ ამჯერად საჭიროდ არ ჩათვალა მისი იზოლაცია საზოგადოებისაგან და სამი წლით პირობით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, თანაც აღუთქვა, რომ მომავალში თუ ვერ აიტანდა აივაზოვთან განშორებას, აუცილებლად მისცემდა მის გვერდით ყოფნის უფლებას!

ლილი მაისურაძე

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კომისია: ზაზა ამირაჯიბი, ნომადი ბარათია, ზორის ზურგულია, ნოდარ ლუგაძე, რეზა თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაფონია (მხატვარი-რედაქტორი),

ალექსანდრე ხანსონი, ბაზან სიხარულიძე (პასუხისმგებელი მდივანი),

გიგლა ფიცხალავა, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფჩივაძე, ვაჟა ზანიშვილი (მთავარი რედ. მოადგილე),

ნაფი ჯუსოიტი.

ტექნიკური რედაქტორი მისეილ კუხალაშვილი

გალამცა ასაწყობად 28. 5. 82 წ. ხელმოწერილია დასაბამად 13. 7. 82 წ. ქალაქის ჯოგა 70x100 ფიკსირებული ნაბეჭდი ფურცელი 1 სალრიცხვო-საბამოცემლო თაბახი 1,7

საქართველოს კვ ტვ-ის გამომცემლობა ლენინის ქ. №14, შეკვეთა № 1409 უე 06354 ტირაჟი 148.950.

ქრნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი, № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, კ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32. რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический журнал «НИАНТИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი რედაქსი 76137

466 82 12/11/82 7

# ჩვენთან - ამერიკის რევოლუციონარი

საქართველო  
საბჭოთაო



კაპიტალიზმი. ყველა ჯიშის ლაუსნაპირი.

რას არ დაგვირდა პრეზიდენტი პირველად, ლმერთო! — მისი სიტყვების ბაქიბუქის ხანძარი ენთო!.. იმედის ნათლად გადმოფინა ტაძარს კანდელი, გარს მოიხვია სიცრუეთა შარავანდედი! მონამებრივი, თითქოს ჯვარცმის გზებით იარა,

თავად იკურთხა თავზე მძლევის მნათი ტიარა! სიმართლისათვის დატანჯულის სახე-იერი — გაყვითლებული გამოანთო, როგორც იელი! ნაპრეზიდენტალს, ვით ნესია, დასცხო და დასცხო:

— „რას ითმენდითო, მშრომელო და მშობელო ხალხო! ვინც მიზეზია უთვლელ ნაკლის, ან ჩაიქოლოს! ბოროტებაზე სიკეთემ ხომ, ბოლოს და ბოლოს, ხმა აღიღოსო! ამირჩევთ და... ასეც იქნება!“ —

და ყოველდღიურ შეხვედრებზე ხელებს იქნევდა, ბრბოს უყვავებდა, აჯერებდა: — „ჩემი განმდეთო, ვფიცავარ ლმერთს, რომ თქვენი ვარ და... სულიც მანდეთო!“ ტელევიზიით, რადიოთი... ამომჩრჩევლებთან

იჭაჭებოდა, ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს ბრტყლად იჩემებდა! — „უმუშევრობას განვდევენო ან და მარადის!

ხალხს ექნებო სასურველი ყოფის პარადი!“ აირჩიეს და... დაპირებებს ისე, ვით ძველად თუთიყუშოვით იმეორებს, საქმეს კი შველა არ უჩანს, არა! უწინდელზე უარესია! რაც ტრიბუნებზე გრძელი ენა გაუღესია,

იმის მესახედს არ აკეთებს ქოსატყუილა! მისი ხმა უკვე გვეყურება ტურის ყმულიად! ისე, იცოცხლე! — თავის შტატი სიცოცხლედ უღირს! — თანამდებობა დაურიგა უთვალავ უღირსს!

კადრებს თვით არჩევს საკუთარი გუმანით, ხიშნით.. ნათესავ-ძმად, ან თუ იმის ლაქიად იშვი, ნალდად გარგუნებს სავარძელს და... იქნები რბილად! — მამასადამე, გაქვს ქონება, უთვლელი ვილა!..

...ან თქვენ განსაჯეთ: როცა ჰყვავის საშინელება, ზის დამპალ ღეროს გაზაფხულზე რა ეშველება?!

## პოეტს, რომელიც თეთრი სახლის კედელთან სტვენდა

ახლა, გვერდით რომ მომყვები და... სტვენ და სტვენ შენთვის, — ვინ მოგაშავა ეგ უნარი არგაოცების?! უდარდელობა, თუ კაცი ხარ, ნუ მეტყვი, ლმერთის ბოძებულა და... იჩენენ ზოგჯერ მგოსნები! აქ, ვაშინგტონში, სადაც ღელავს პენსილვანია, თეთრი სახლია და სენატიც აქ იმზირება! — თუკი მე მკითხავთ, ვიტყვი ახლა, მართალს ძალიან, მშვიდობის ტვირთი აქ ყველაზე უფრო მძიმეა! შენ ისე უსტვენ, თითქოს სტვენით სუნთქავდეგ მინა! უზრუნველყოფის მოჭარბებულ ნაკვალევს ტოვებ! დროა, რომ სიტყვა დაამსგავსო მოქნეულ ფინალს, რომელიც აქვე აუკაფავა ომის ხეს რტოვებს!

## პატრიოტიზმი ზოგ-ზოგის გაგებით

„ცრუპატრიოტიზმი არამზადათა უკანასკნელი თავშესაფარია!“

კვითხულობ: — „გიყვარს სამშობლო, ვილლი? — მყლავნდება მაინც რაში?“

— „ესაა: მანქანა, ქალები, ვილა, აღიარების ტაში!“


კვითხულობ: — „გიყვარს სამშობლო ვილლი? მითხარ, თუ იღვნი მისთვის?“

ვილლი ვერ იოკებს ეშმაკურ ღიმელს და ამბობს: — „ვიბრძვიო განცხრომის დღისთვის!“

— „სამშობლო, იცით? — ფასობს, როცა ფასი აქვს ფულსაც!.. ვით ინდელი ლასოს მოსდებს კისერზე მუსტანგს, — ისე მზამს სადღეგრძელოც, ვისკის ჭიქასთან, მისი! ისე კი, გააჩნია, არის კი ჩემი ღირსი?“ — კითხვას მიბრუნებს ვილლი!

## კლივლანდი. ფიქრები საქართველოზე

ამ ულტრამოდურ, ფეშენებლურ შენობებს შორის, მცხეთამ დარეკა უცაბედად წარსულის ბუქი! ნამდვილი ფასი არ მცოდნია მე სვეტიცხოვლის! — აქ ვიგრძენ ჩემი ხალხის ძალა, გენიის შუქი! რასაც შევყურებ მართლა დიადს, განსაცვიფრებელს, —



ათასი ჯიშის ხალხის გონით ზეალმართულა! სიმდიდრე მისი, ანონილი უწყვეტ ციფრებით, მეცოტავება ფასად ციდა მინაქართულის! გამდიდრებულ პირატულ და მეკობრულ წესით, — მზამს, ბოლოს თვისას რომ მოგიზღავს ბედის გელაზი!.. ცათამბჯენების ჩრდილში ვდგავარ, მუსიკად მესმის ხმა, ლალადისი: ჯვრის! ვარძიის! რუხის! გელათის!..

## ამერიკული ცხოვრების ფილოსოფიის მიხედვით ვიღი ბრუკლინის ხიდთან

აქ გაოცების შეიძენთ უნარს, თუკი გზადგზა ხარჯავდით უღვთოდ! ცხოვრების ტალღა, რომელიც ბრუნავს, დაუთოვდება! — ჟამია უთო?! გათენდება და... ჩაქრება რწმენაც, ვით საზღაური ჯავის და ოფლის! ბედის ბორბალზე ჟამი ირწევა — მეტრონომია ის — ნუთისოფლის! ირგვლივ ბიზნესის ბული ტრიალებს! — ცენტი — ლარიბებს! დოლარი — მდიდრებს! —

ასე გრძელდება, მემატიანე მათ განკითხვის ჟამი დაწერდეს ვიდრე! მგლური კანონი: — ენდე! — უარი! ძმა რომ ძმა არის, აღარ ინამო! ნულარ იკითხავ: — „ბლექ ენდ უაიტ?“ — \*) დარდად მოსულო ცოდვილ მინაზე! ხომ გაგაჩნია კუჭიც, ოცნებაც?! შესძელი რამე?! — გვერდზე გადაქი! დიდი ხანია პატიოსნებას არ ეძახიან ჩვენში დადებითს! მორალ-ნამუსზე ნუ გაფითრდები! ცხოვრება მუდამ თავის გზით მიდის! — აქ გიღს ტყუილად შევეკითხებით: — „რას ყყრდნობაო ბრუკლინის ხიდი?!“

\*) ბლექ ენდ უაიტ — შავი და თეთრი. ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი